

ვალერიან დოლიძე

ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელ-ფოსტა: valerian.dolidze@tsu.ge

ჰეგემონისტური შოკები და საქართველო: დემოკრატიული ევოლუცია და დემოკრატიული უკუსვლა

აბსტრაქტი

გუნცის ჰეგემონისტური შოკების თეორიის საფუძველზე ნაშრომში გაცემულია პასუხი კითხვაზე, თუ რატომ აიღო საქართველომ კურსი ჰეგემონისტური ელექტორალური ავტორიტარიზმის ფორმირებაზე. რუსეთის შეჭრამ უკრაინაში საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში წარმოშვა წარმოდგენა დემოკრატიული ჰეგემონის - აშშ-ს დასუსტებისა და რუსეთის გამლიერების შესახებ, რამაც გამოიწვია რუსული პოლიტიკური რეჟიმის ემულაცია საქართველოში. საქართველო პერიოდულად ყოველთვის გადადიოდა ფუნქციონირების ავტორიტარულსა და დემოკრატიულ ციკლებში, მაგრამ ავტორიტარიზმი აქ წარმოდგენილი იყო შეჯიბრებითი ელექტორალური ავტორიტარიზმის ფორმით, რის გამოც ქვეყნის დემოკრატიული ევოლუცია არ წყდებოდა ავტორიტარულ ციკლებშიც კი, რაც იწვევდა დემოკრატიული პოტენციალის დაგროვებასა და გამლიერებას. ოცნების მიერ აღებულია ჰეგემონისტურმა კურსმა შეწყვიტა საქართველოს დემოკრატიული ევოლუცია. მაგრამ საზოგადოებაზე სრული კონტროლის მოპოვების პოლიტიკა აწყდება ძლიერი დემოკრატიული პოტენციალის წინააღმდეგობას. ასეთი შემობრუნების მიზეზი საქართველოს პოლიტიკური სისტემის თავისებურებაში უნდა ვეძებოთ. ერთპოლუსიანი მსოფლიოს პირობებში მოხდა დემოკრატიული სისტემის ემულაცია, რომელსაც ახასიათებდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი კომპონენტების უთანაბრო განვითარება. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ დემოკრატიული სისტემის ემულაცია უფრო რთულია, ვიდრე ავტორიტარულის ან ტოტალიტარულის, რადგანაც ის მოითხოვს არა მხოლოდ სახელმწიფო რესურსების, არამედ საზოგადოების რესურსების მობილიზაციასაც ნებაყოფილობის საფუძველზე. ამიტომ საქართველოში დემოკრატიული ემულაციის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ

საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის განვითარება ჩამორჩება სახელმწიფო პოტენციალის გაძლიერებას, რაც წარმოშობს სახელმწიფოს მიერ საზოგადოების დამორჩილების ტენდენციებს. მაგრამ ერთპოლუსიანი მსოფლიოს პირობებში დემოკრატიული ჰეგემონი და ევროკავშირი ბლოკავდნენ ამ ტენდენციის განვითარებას. მრავალპოლუსიან მსოფლიოზე გადასვლამ გამოიწვია საქართველოს პოლიტიკური ელიტის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შეცვლა. მის მიერ აღებულმა ანტიდასავლურმა კურსმა დაასუსტა აშშ-სა და ევროკავშირის პროტექტორული ფუნქცია, რომელსაც ისინი ასრულებდნენ ქვეყნის დემოკრატიულ ევოლუციაში, რამაც გამოიწვია საქართველოს ჰეგემონისტური ავტორიტარიზმის ფაზაში გადასვლა, რომელიც არ დამთავრებულა.

საკვანძო სიტყვები: ავტორიტარიზმი, დემოკრატია, დემოკრატიზაცია, სისიტემა, რეჟიმი

მსოფლიოში დემოკრატიული უკუსვლა ღრმავდება (Nord et al., p.10), რასაც თავი ვერც საქართველომ დააღწია, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ მოწინავე პოზიციები ეჭირა ასოცირების ტრიოს ქვეყნებს შორის (Scoop: Georgia „Strongest,” 2023). მან იმდენად ძლიერი დემოკრატიული უკუსვლა განიცადა, რომ დემოკრატის ნაირსახეობათა კვლევის შვედური ორგანიზაციის რეიტინგებში ელექტორალური დემოკრატის სტატუსი დაკარგა და ელექტორალური ავტორიტარიზმის დონემდე ჩამოქვეითდა (V-Dem’s 2025 Report: Georgia, 2025). თავისუფლების სახლის შეფასებით კი საქართველო ნახევრად კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმის ფორმირების პროცესში იმყოფება (Freedom House: Georgia, 2025), თუმცა ჯერ კიდევ ინარჩუნებს ნახევრად თავისუფალი ქვეყნის სტატუსს, მაგრამ მნიშვნელოვანად გაუარესებული მაჩვენებლებით. მაგალითად, ერთი წლის მანძილზე (2023-2024) გლობალური თავისუფლებისა და სამოქალაქო უფლებების მაჩვენებლები ერთბაშად სამი ქულით გაუარესდა. პირველი მათგანის მაჩვენებელი 58-დან 55-მდე შემცირდა, ხოლო მეორისა კი 36-დან 34-მდე. შედარებით სუსტად, ერთი ქულით 22-დან 21-მდე შემცირდა პოლიტიკური თავისუფლება, მაგრამ საქართველო ჯერ კიდევ ინარჩუნებს ინტერნეტის თავისუფლებას (100/74) (Freedom House, 2025).

ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია უცნაური იმაში, რომ საქართველოს პოლიტიკური რეჟიმი იცვლება, რადგანაც მისი პოლიტიკური სისტემა პერიოდულად ყოველთვის იცვლიდა ფუნქციონირების რეჟიმებს, გადადიოდა რა ხან ავტორიტარიზმის, ხანაც დემოკრატიზაციის ციკლებში (Dolidze & Tukvadze, 2024). მაგრამ ავტორიტარულ ფაზებშიც კი არ წყდებოდა დემოკრატიული ევოლუცია, რადგანაც ავტორიტარიზმი შეჯიბრებითი ელექტორალური ავტორიტარიზმით იყო წარმოდგენილი. დღეს კი

საქართველომ მოძრაობა დაიწყო ჰეგემონისტური ავტორიტარიზმის მიმართულებით, რამაც დემოკრატიის სწრაფი უკუსვლა გამოიწვია. ამ მეტამორფოზის გაგების გასაღებს იძლევა გუნციკის ჰეგემონისტური შოკების თეორია, რომლის მიხედვითაც, ჰეგემონისტური შოკები იწვევენ არა მხოლოდ ჰეგემონისტურ ტრანზიციებს, რაც გულისხმობს ძალთა განაწილების კონფიგურაციის ცვლას საერთაშორისო არენაზე, არამედ ღრმა გავლენასაც ახდენენ ქვეყნების შიდა ინსტიტუციურ განვითარებაზე. საქართველოს გამოცდილება თითქოს ამტკიცებს ამ თეორიის ჭეშმარიტებას: ერთპოლუსიანმა მსოფლიომ, რომელშიც ჰეგემონის როლს დემოკრატიული სახელმწიფო (აშშ) ასრულებდა, გამოიწვია საქართველოს დემოკრატიული ევოლუცია, ხოლო მრავალპოლუსიან მსოფლიოზე გადასვლამ კი დემოკრატიული უკუსვლა. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული უკუსვლა საქართველოში ქრონოლოგიურად ჩამორჩება მსოფლიო წესრიგში მომხდარ ცვლილებებს, რაც აძლიერებს მათ შორის კაუზალური კავშირის არსებობის ჰიპოთეზას.

მაგრამ მსოფლიო პოლიტიკაში მოხდარ ასეთ ცვლილებებს არ გამოუწვევია დემოკრატიული უკუსვლა ყველა ქვეყანაში (მაგალითად, ბალტიისპირეთის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ხოლო უკრაინა და მოლდოვა კი წარმატებებს აღწევენ ევროკავშირთან დაახლოების გზაზე). ამ ფონზე აქტუალური ხდება პასუხის გაცემა კითხვაზე - რატომ შემობრუნდა საქართველოს პოლიტიკური განვითარების ვექტორი ავტორიტარიზმისაკენ? სწორედ მასზე პასუხის გაცემა წარმოადგენს ჩვენი ნაშრომის მიზანს - საქართველოს დემოკრატიული უკუსვლის ახსნა გუნციკის ჰეგემონისტური თეორიის საფუძველზე. ამ მიზნიდან გამომდინარეობს ნაშრომის ამოცანებიც: 1. ჰეგემონისტური შოკების თეორიის მნიშვნელობის დადგენა საქართველოს დემოკრატიული უკუსვლის შესწავლისათვის; 2. საგარეო ფაქტორების გავლენის შესწავლა თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ ელიტაზე; 3. საქართველოს პოლიტიკური სისტემის ნორმატულ ბაზაში მომხდარი ცვლილებების ანალიზი.

გუნციკი ჰეგემონისტური შოკების შესახებ

გუნციკის აზრით, დემოკრატიის ექსპანსიას წინა საუკუნეში ამოძრავებდა რეფორმების ტურბულენტური აფეთქებები, რომლებმაც შედარებით მოკლე დროში მრავალი ქვეყანა მოიცვეს, რასაც ჰანტინგტონი დემოკრატიზაციის ტალღას უწოდებს. მას მიაჩნია, რომ დემოკრატიული ევოლუციის განმასხვავებელი ნიშანი იყო არა შეუჩერებელი და თანდათანობითი ცვლილებები, არამედ დრამატული რყევები (Gunicki, 2014, p. 561). როგორც ვხედავთ, ის დემოკრატიულ ევოლუციას „დრამატულ რყევებთან“ აიგივებს. ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ პოლიტიკურ მეცნიერებაში

დემოკრატიზაცია და დემოკრატიული ევოლუცია ერთმანეთისაგან არ არის მკაფიოდ გამიჯნული, არ არის გარკვეული, თუ რა კავშირშია შეუჩერებელი და თანდათანობითი ცვლილებები დემოკრატიულ ევოლუციასთან, შეიძლება თუ არა ვისაუბროთ დემოკრატიული ევოლუციის შესახებ ასეთი ცვლილებების გარეშე.

„დრამატული რყევები“ ნამდვილად არის დემოკრატიზაციის მაჩვენებელი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ დემოკრატიული ევოლუცია და დემოკრატიზაცია იდენტური ცნებებია. დემოკრატიული ევოლუცია უფრო ფართო ცნებაა ვიდრე დემოკრატიზაცია. დემოკრატიზაცია დემოკრატიული ევოლუციის ანუ მთელი საზოგადოების (და არა მხოლოდ პოლიტიკური სისტემის, განსხვავებით დემოკრატიზაციისაგან) შეუჩერებელი და თანდათანობითი ცვლილებების შედეგია. ამიტომ ქვეყანას თუ არ გაუვლია დემოკრატიული ევოლუცია, ის ვერც დემოკრატიზაციის ტალღებში მოხვდება. ხოლო თუ ეს ევოლუცია არ არის საკმარისად ღრმა, დემოკრატიზაცია ავტორიტარიზმით შეიცვლება. სწორედ ამიტომ არის, რომ დემოკრატიზაციის ტალღებს ყველა ქვეყანა კი არ ემორჩილება, არამედ მხოლოდ ნაწილი, ისევე, როგორც ბევრ ქვეყანაში დემოკრატიზაციის ტალღებს ავტორიტარიზმის უკუსვლები ჩაანაცვლებს ხოლმე. ამიტომ, ჩვენი აზრით, დემოკრატიზაციის უმთავრესი პირობაა სწორედ საშინაო ფაქტორები და არა საგარეო, თუმცა როგორც საქართველოს შემთხვევა გვიჩვენებს, მათი კოოპერაციის საშუალებით შეიძლება მიიღწეული იქნას დემოკრატიული ევოლუცია. საშინაო ფაქტორებს შეუძლიათ გააქტიურონ საგარეო ფაქტორები (ამის მაგალითია საქართველო), გააძლიერონ მათი გავლენა ქვეყნის დემოკრატიულ ევოლუციაზე, დაიცვან განვითარებაში მყოფი დემოკრატიული სისტემის კომპონენტები პოლიტიკური ელიტების ზეწოლისაგან. ასეთ პირობებში, საგარეო ფაქტორები ასრულებენ პროტექტორულ ფუნქციას, იცავენ რა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ვექტორს.

გუნიცკის აზრით, ჰანტინგტონმა მოგვცა არა ტალღების თეორია, არამედ რეფორმების სხვადასხვა მიზეზის აღწერა (Gunicki, 2014, p. 561). ამიტომ მისი ჰეგემონისტური შოკების თეორია, რომელიც დემოკრატიზაციის ტალღების ახსნას საერთაშორისო პოლიტიკაში მომხდარ ცვლილებებს უკავშირებს, შეიძლება ჰანტინგტონის მიერ დატოვებული ამ სიცარიელის შევსების მცდელობად მივიჩნიოთ. გუნიცკი ამტკიცებს, რომ რეჟიმის წარმატება მეოცე საკუნეში მჭიდროდ არის დაკავშირებული ხელისუფლების გლობალურ განაწილებაში მომხდარ ცვლილებებთან, რაც ხშირად ლოკალური ცვლილებების თავისებურებების ქვეშ იმალება (Gunicki, 2014, p. 563). ის ჰეგემონისტურ შოკს განსაზღვრავს როგორც საერთაშორისო სისტემის წამყვან სახელმწიფოებს შორის არსებულ შედარებით

ძალაში მომხდარ უეცარ ცვლილებას (Gunicki, 2014, p.565). გუნიცკი გამოყოფს დემოკრატიზაციაზე ჰეგემონისტური შოკის გავლენის სამ კაუზიალურ მექანიზმს: იძულება, გავლენა და ემულაცია. ინსტიტუციურ ემულაციას ავტორი განსაზღვრავს, როგორც პროცესს, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო მიზანმიმართულად და საკუთარი ნებით ახდენს წარმატებული და ძლიერი სახელმწიფოს საშინაო ინსტიტუტების იმიტაციას (Gunicki, 2014, p. 576). მისი აზრით, ეს არის ის სტრატეგია, რომელიც ზრდის იმიტატორი სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და ლეგიტიმაციას, როგორც პოზიციების გაძლიერებით ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც, გამარჯვებულთან მიერთების გზით. შოკი უცხოელი დამკვირვებლებისათვის ქმნის იმის ძლიერ სტიმულს, რომ ისწავლონ სხვების წარმატებისა და წარუმატებლობის საფუძველზე. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ლიდერები ყოველთვის სწორ დასკვნებს გააკეთებენ აქედან, რადგანაც მათი შემეცნებითი პროცესი აუცილებლად იფილიტრება იმით, რასაც გუნიცკი უწოდებს „კოგნიციურ გადახრებს“, რის გამოც არ არსებობს იმის გარანტია, რომ ლიდერები ყოველთვის სწორ დასკვნებს გააკეთებენ (Gunicki, 2014, p.578). მაგრამ გუნიცკისთან საგარეო ფაქტორი - ჰეგემონისტური შოკი, აშკარად არ წარმოადგენს დემოკრატიული განვითარების წარმატების ერთადერთ და საკმარის პირობას.

მისთვის ნათელია, რომ ჰეგემონისტური შოკის დემოკრატიზაციაზე გავლენის სიღრმისა და ეფექტურობისათვის საჭიროა, რომ ქვეყანაში არსებობდეს შესაბამისი პირობები. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ შოკებმა შეიძლება ხელი შეუწყონ გადაჭარბებულ ოპტიმიზმზე დაფუძნებულ იმიტაციას იმ ქვეყნებშიც კი, სადაც არ არსებობს საშინაო პირობები დემოკრატიული კონსოლიდაციისათვის, შოკის ეფექტის დასუსტების შემდეგ, ასეთ ქვეყნებში დემოკრატია დაიწყებს უკუსვლას (Gunicki, 2014, p.578). გუნიცკის ეს აზრი ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში დემოკრატიული განვითარების პრობლემების კვლევისათვის, რადგანაც მისი დემოკრატიული უკუსვლა სწორედ მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარ ძალთა ბალანსის შეცვლას ემთხვევა. მსოფლიო ისტორიაში რევოლუციური ხასიათის ცვლილებები ყოველთვის უფრო წინ მიდიოდნენ, ვიდრე ამის შესაბამისი საზოგადოებრივი პირობები მომწიფდებოდა ქვეყანაში. ამის გამო, გარკვეული დროის შემდეგ, ხდებოდა ქვეყნის განვითარების დაბრუნება იმ ნიშნულზე, რომელიც მისი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონეს შეესაბამებოდა. ამის კონკრეტულ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ საბჭოთა კავშირის კრაზი მისი შექმნიდან 70 წლის შემდეგ. იგივე კანონზომიერება ხომ არ მოქმედებს თანამედროვე საქართველოს შემთხვევაშიც? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთული და

კომპლექსური კვლევების ჩატარებას საჭიროებს, რაც ჩვენი სტატიის შესაძლებლობებს აღემატება. მაგრამ, ამის მიუხედავად, აშკარაა, რომ ერთპოლუსიანი მსოფლიოს პირობებში, შეიქმნა და გაძლიერდა ქვეყნის დემოკრატიული პოტენციალი. მმართველი ელიტისა და საზოგადოების პროდასავლურობა ნოყიერ ნიადაგს წარმოშობდა დემოკრატიული ინსტიტუტების ემულაციისათვის. 2018 წელს საქართველოს, ვესტერნიზაციის მაჩვენებლის მიხედვით, მეოთხე ადგილი ეჭირა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის (100 ქულიდან 62), თუმცა 2022 წელს მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა (Dolidze & Tukvadze, 2024). ელექტორალური ავტორიტარიზმის პირობებში, პოლიტიკური ელიტებისა და ოპოზიციის თანამშრომლობამ დასავლეთთან (აშშ და ევროკავშირი) გამოიწვია ავტონომიური სამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოებების, თავისუფალი მედიის, თავისუფალი პოლიტიკური ქცევების განვითარება. ამან ხელი შეუწყო ქვეყნის დემოკრატიული პოტენციალის დაგროვებას, რომელიც საქართველოს პოლიტიკური განვითარების მთავარ ვექტორს წარმოადგენდა ერთპოლუსიანი მსოფლიოს პირობებში. დემოკრატიული პოტენციალი შეიძლება გავიგოთ, როგორც ყველა იმ რესურსის ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია მთავრობის კონტროლისა და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული მმართველობის განვითარებისათვის (Долидзе, 2020). დემოკრატიული პოტენციალის განვითარება კი ასეთი რესურსების რაოდენობრივ ზრდასა და თვისებრივ განვითარებას გულისხმობს, რომლის შედეგადაც იზრდება სახელმწიფოსა და პოლიტიკური ელიტისაგან საზოგადოების პოლიტიკური ავტონომიურობის დონე. დემოკრატიული ჰეგემონი აშშ და ევროკავშირი არა მხოლოდ ხელს უწყობდნენ ამ განვითარებას და ბლოკავდნენ პროდასავლური ელიტების ანტიდემოკრატიულ აქტიურობებს, არამედ მათთან და ოპოზიციასთან თანამშრომლობით უზრუნველყოფდნენ მთავრობების დემოკრატიულ ცვლას საზოგადოების ნების თავისუფალი გამოვლინების საფუძველზე.

პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური რეჟიმი

იმისათვის, რომ გავიგოთ საქართველოს პოლიტიკური განვითარების ტრანექტორიის თავისებურება, უპირველეს ყოვლისა საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური რეჟიმი. დასავლეთის სამეცნიერო ლიტერატურა არ აკეთებს განსხვავებას მათ შორის. მაგალითად, ენდრიუ ჰეივუდი წერს: „პოლიტიკური სისტემა (ანუ პოლიტიკური რეჟიმი) უფრო ფართო ცნებაა ვიდრე „მმართველობა“ და არა მხოლოდ მმართველობის მექანიზმებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს მოიცავს, არამედ იმ სტრუქტურებსაც და პროცესებსაც, რომელთა საშუალებითაც სახელმწიფო საზოგადოებასთან ამყარებს ურთიერთობას“ (ჰეივუდი, 2008, გვ. 45). საწინააღმდეგოს ამტკიცებს

ოქსფორდის პოლიტიკის ლექსიკონი, როცა რეჟიმად განიხილავს მმართველობის ან ადმინისტრაციის სისტემას (McLean & Mcmillan, 2009). ჩიანეტიმ, დელ-პანტამ და ოუენმა გამოყვეს „რეჟიმის“ „იმპლიციტური გამოყენების“ სამი ჯგუფი: 1. პროცედურული მიდგომა, როცა რეჟიმი გაგებულია, როგორც პოლიტიკური თამაშის წესები; 2. აქტორზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც რეჟიმს უკავშირებს მმართველ ელიტას; 3. სოციოლოგიური მიდგომა, როგორც ურთიერთობა მმართველებსა და მართულებს შორის (Cianetti, Del Panta & Owen, 2025). ჩვენი განსაზღვრებით კი, პოლიტიკური რეჟიმი ეს არის საჯარო ავტორიტეტის ფუნციონირების წესი, რომელიც საფუძვლად უდევს ხელისუფლებასა და პიროვნებას შორის ურთიერთობას და განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ საზოგადოების კონტროლის ზომას. პოლიტიკური რეჟიმი პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებად მხარეა, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკური თანაცხოვრების წესს. პოლიტიკური სისტემა კი გვევლინება როგორც პოლიტიკური რეჟიმის მიერ განსაზღვრული წესით დაკავშირებული და ერთმანეთთან ურთიერთქმედებაში მყოფი აქტორების ერთობლიობა.

დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ემულაცია უფრო რთულია ვიდრე ავტორიტარულის და ტოტალიტარულის, რადგანაც აქ ემულაცია, სახელმწიფოს აქტიურობის გარდა, საზოგადოებრივი რესურსების ნებაყოფლობით მობილიზაციასა და საზოგადოებრივ ინიციატივებზეა დამოკიდებული. თავისუფალი პოლიტიკური ქცევები დემოკრატიის ელემენტებს წარმოადგენენ, მაგრამ მობილიზაციის გარეშე ისინი ვერ უზრუნველყოფენ დემოკრატიულ რეჟიმების კონსოლიდაციას, რასაც საქართველოს შემთხვევაში ხელს უშლის ეკონომიკური, კულტურული, კოგნიციური და სხვა რესურსების დეფიციტი. მათგან განსხვავებით, სახელმწიფოს უფრო მეტი რესურსი გააჩნია განვითარებისათვის, რის გამოც ემულაცია სახელმწიფო სექტორში უფრო ეფექტური იყო, ვიდრე საზოგადოებრივ-პოლიტიკურში, რაც ბიუროკრატიის განვითარებისაგან საზოგადოების თვითორგანიზაციის ჩამორჩენასა და საზოგადოების სახელმწიფოსადმი დამორჩილების ტენდენციას წარმოშობს. ასეთ პირობებში, თავისუფალი ქცევები საქართველოში პერიოდულად იწვევდნენ „დემოკრატიულ აფეთქებებს“ -პირდაპირ მოქმედებებს, რასაც მთავრობების დემოკრატიული ცვლა მოჰყვებოდა ხოლმე შედეგად. მაგრამ თავისუფალი ქცევები, ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და განვითარებული პარტისიპატორული კულტურის გარეშე, ელექტორალური ავტორიტარიზმის განვითარებას უწყობენ ხელს. მათ მობილიზაციას მნიშვნელოვნად აბრკოლებს საზოგადოებაში წარმოშობილი ღრმა

სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის სუსტი იდეოლოგიური და პოლიტიკური არტიკულაცია პოლიტიკურ სისტემაში, რაც აფერხებს პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიული პოტენციალის სრულად გამოვლინებას მისი ინსტიტუციური საფუძვლების გაძლიერების საშუალებით. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის გამოცდილება კარგად გვიჩვენებს სოციალური დიფერენციაციის საფუძველზე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებად გახლეჩვისა და მათი ურთიერთდამორების (cleavages) მნიშვნელობას პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში (Hooghe & Gary, 2018 ; Marks et al., 2021; Bornschieer et al., 2024).

დემოკრატიული პოტენციალის დემონტაჟი: კურსი ჰეგემონისტური ავტორიტარიზმის დამკვიდრებაზე შეჯიბრებითი და ჰეგემონისტური ავტორიტარიზმი

საქართველოს დემოკრატიული უკუსვლა მიმდინარეობს მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის თვისებრივი ცვლილებების ფონზე, რაც ერთპოლუსიანი საერთაშორისო წესრიგის დაშლით არის გამოწვეული. ეშფორდის აზრით, დამთარდა ამერიკის დომინანტურობის „ერთპოლარული მომენტი“ (Ashford, 2025), ხოლო ჯონ ჯ. მირშიმერი კი საუბრობს ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის დაშლაზე, რომელიც შეიძლება წარმოშობილიყო მხოლოდ ლიბერალური დემოკრატიული სახელმწიფოს ლიდერობის პირობებში (Mearsheimer, 2019, p.7). ამკარაა, რომ ერთპოლუსიანი მსოფლიოს არსებობა დასრულდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ნათელი, თუ როგორი მსოფლიო ჩანაცვლებს მას. მეცნიერები კვლავაც დაობენ იმის შესახებ თუ როგორი იქნება ერთპოლუსიანი მსოფლიოს მემკვიდრე წესრიგი: ორპოლუსიანი, მრავალპოლუსიანი თუ საერთოდ უპოლუსო (Ashford, 2025). ეს დავა იმის მაჩვენებელია, რომ ახალი წესრიგი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია. ამის მიუხედავად ამკარაა, რომ ძველი წესრიგის დაშლამ გამოიწვია ძალთა ბალანსის შეცვლა მსოფლიო პოლიტიკაში, რამაც ასახვა ჰპოვა საქართველოს პოლიტიკური ელიტის ქცევაში, რომელიც დაადგა ჰეგემონისტური ავტორიტარიზმის ფორმირების კურსს, რაც, ჩვენი აზრით, შეიძლება აიხსნას მის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებებით. დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტის პირობებში, პოლიტიკური რეჟიმის ფორმირება პოლიტიკურ ელიტაზეა დამოკიდებული, რადგანაც ის აკონტროლებს მთელ სახელმწიფო მანქანას. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ელიტის ქცევების მოტივაციის კვლევა საქართველოში პოლიტიკური რეჟიმის ფორმირების შესწავლისათვის. ასეთი მოტივაციის თავისებურება კი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ელიტის შემადგენლობაზე. საქართველოს მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ დეპუტატთა კორპუსი მნიშვნელოვნად შეიცვალა ამ პარტიის

ხელისუფლებაში ყოფნის 13 წლის განმავლობაში. მისი რიგები დატოვეს პროევროპულად განწყობილმა საზოგადოებრივად აქტიურმა დეპუტატებმა, რომელთა ადგილი დაიკავეს ბიზნესიდან და სპორტიდან მოსულმა ადამიანებმა და ისეთმა დეპუტატებმა, რომლებიც მანამდე არ გამოირჩეოდნენ საზოგადოებრივი აქტიურობით. 1924 წელს პარლამენტში არჩეული 89 დეპუტატიდან 17 მილიარდერი და მილიონერი იყო (ბოჩიკაშვილი, 2024), რაც ოცნების დეპუტატთა კორპუსის 19,1%-ს ანუ დაახლოებით 1/5-ს შეადგენდა. მისი ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი, რომელიც აკონტროლებს ქართული პოლიტიკური ელიტის შემადგენლობას, საკუთარი ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილით დაკავშირებულია რუსეთთან, რომელთანაც დღესაც არ დაუკარგავს კავშირები („ბიძინა ივანიშვილის“, 2025; „ბიძინა ივანიშვილისა და, “ 2022). მსხვილი ბიზნესმენი ბერეკაშვილი, რომელიც ოცნების სიით პირველად გავიდა პარლამენტში 2024 წელს, საქართველოსა და რუსეთის ორმაგი მოქალაქეა (დოლიძე & ტუკვაძე, 2024), ხოლო საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე პაატა კვიციანიძე 1993 წლიდან „უცხოეთში“, დიდი ალბათობით, რუსეთში „პირადი კერძო სამშენებლო ბიზნესის ხელმძღვანელია“. მანამდე კი 1992-1993 წლებში საჩხერის პრეფექტი იყო. საქართველოს პარლამენტის წევრი კი 2012 წლიდან გახდა (პაატა კვიციანიძე). ქართული ელიტის შევსებამ რუსეთთან დაკავშირებული პირებით, ის უფრო მგრძობიარე გახდა მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე კარდინალური ცვლილებების მიმართ, რომლის ფაქტორიც რუსეთის აქტიურობა გახდა საერთაშორისო პოლიტიკაში. მან შეძლო აშშ-სა და დასავლეთის თვალწინ, ჯერ ყირიმის ანექსიით თითქმის დაუსჯელად შეეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა, ხოლო შემდეგ ღია აგრესია განეხორციელებინა უკრაინის მიმართ, რომლის შეჩერება ვერ შეძლო აშშ-მ, ხოლო უკრაინისათვის გაწეული დახმარება აშკარად საკმარისი არ არის რუსეთის დამარცხებისათვის. ამიტომ რუსეთის უკრაინაში შეჭრამ ქართულ პოლიტიკურ ელიტაში წარმოშვა წარმოდგენა დემოკრატიული ჰეგემონის - აშშ-ს დასუსტების შესახებ. სწორედ ამაზე მეტყველებს საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის პაატა კვიციანიძის სიტყვები: „თუ ხუთი წლის წინ ყველაფერი სრულდებოდა, რასაც ამერიკა იტყოდა, დღეს ამერიკას „ხელთათმანი ესროლეს“ და აღარ ემორჩილებიან“ („პაატა კვიციანიძე-ამერიკისთვის,“ 2024). ამიტომ რუსეთ-უკრაინის ომმა გამოიწვია ღრმა ცვლილებები საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. მმართველი ელიტა აშკარად დაადგა ანტიდასავლურ კურსს, რამაც მნიშვნელოვნად დაასუსტა ამ უკანასკნელის პროტექტორული ფუნქცია დემოკრატიულ ევოლუციაში. ამიტომ საგარეო პოლიტიკის შეცვლამ გამოიწვია საშინაო პოლიტიკის შეცვლაც: პოლიტიკურმა ელიტამ აშკარად აიღო კურსი

დემოკრატიული პოტენციალის დემონტაჟზე, რუსული მოდელის ემულაციაზე, რამაც ქვეყანა გადაიყვანა ჰეგემონისტური ელექტორალური ავტორიტარიზმის განვითარების რელსებზე. ასეთი ცვლილების მნიშვნელობის გაგებისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს ჰეგემონისტური ელექტორალური ავტორიტარიზმი. არსებობს ავტორიტარიზმის ორი ტიპი: დახურული და ელექტორალური. დახურული ავტორიტარიზმის დროს ხალხის ძირითადი ნაწილი გამორიცხულია უმაღლესი თანამდებობის პირების არჩევნებისაგან. ელექტორალური ავტორიტარული რეჟიმებში კი გამოყოფენ ორ სახეს: ჰეგემონისტური და შეჯიბრებითი, რომელთაც ახასიათებთ უმაღლესი თანამდებობის პირების რეგულარული არჩევნები. მაგრამ თუ ჰეგემონისტურ ავტორიტარულ რეჟიმებში არჩევნები აბსოლუტურად არაკონკურენტულია და მათში არ დაიშვება ოპოზიცია, შეჯიბრებით ავტორიტარიზმში ოპოზიციურ აქტორებს აქვთ თავისუფლების უფრო ფართო სივრცე, პოლიტიკურ ბაზარზე შესვლის ბარიერები საკმაოდ დაბალია, რაც საშუალებას აძლევთ მათ, რომ განახორციელონ ელექტორალური კონკურენცია ხელისუფლებაში მყოფ პირებთან. ამასთან, მმართველი დაჯგუფება შეჯიბრებითი ავტორიტარიზმის ფარგლებში თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ იყენებს საარჩევნო რეპრესიებს, ზღუდავს მათ ხელმისაწვდომობას მასმედიაზე და იყენებს სხვა მეთოდებს, რომელიც ქმნის კონკურენციის არათანაბარ პირობებს. ამის მიუხედავად, არჩევნები გარკვეული აზრით მაინც ინარჩუნებენ წინასწარი განუსაზღვრელობის ელემენტს. ასეთ პირობებში ოპოზიცია, როგორც წესი, ირჩევს არჩევნებში მონაწილეობის სტრატეგიას, მაშინ როცა ჰეგემონისტური ავტორიტარიზმის პირობებში ის იძულებულია ბოიკოტი გამოუცხადოს არჩევნებს (Шкель, 2014). საქართველომ კურსი აიღო ჰეგემონისტური ელექტორალური ავტორიტარიზმის დამყარებისკენ, რაზეც მეტყველებს მის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მნიშვნელოვნად ზღუდავენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ხელისუფლებისაგან ავტონომიურ რეჟიმში განვითარებას და საზოგადოების აქტიურობას მთავრობის კონტროლს უმორჩილებენ.

საზოგადოებაზე სრული კონტროლის მოპოვების პოლიტიკა

რუსეთის უკრაინაში შეჭრამ ბიძგი მისცა რუსული რეჟიმის ემულაციის პროცესის დაწყებას საქართველოში. ის მიმდინარეობს პოლიტიკური სისტემის ნორმატული ბაზის შეცვლის საფუძველზე, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს საზოგადოების დამოუკიდებელი პოლიტიკური აქტიურობის სამართლებრივ საფუძველებს. პოლიტიკური სისტემის ნორმატული სივრცე დემოკრატიული პოტენციალის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს

წარმოადგენს. სწორედ მის საფუძველზე გაძლიერდა ავტონომიური პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოებები, კრიტიკული მედია, თავისუფალი პოლიტიკური ქცევები და მისი გამოვლინების ფორმები - საპროტესტო მიტინგები, დემონსტრაციები და ა.შ., რომლებიც დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენენ.

საქართველოს დემოკრატიული პოტენციალის ყველაზე განვითარებულ კომპონენტს წარმოადგენდნენ დემოკრატიული სამართლებრივი სივრცე, სამოქალაქო საზოგადოება და კრიტიკული მედია. ისინი ხელს უწყობენ, როგორც სხვა დემოკრატიული ინტიტუტების გაძლიერებას, ასევე საჯაროობასა (გამჭვირვალობა) და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული მმართველობის განვითარებასა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას, საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილებების მომზადებასა და განხორციელებაში, ასევე საზოგადოების, პიროვნებების დაცვას მთავრობის არასამართლებრივი ქმედებებისაგან. მაგრამ საქართველოში დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ინსტიტუტების განვითარებას აბრკოლებს საზოგადოების სიღარიბე და მთავრობის კონტროლი შიდა დაფინანსების წყაროებზე. ამიტომ დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოებისა და კრიტიკული მედიის განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობა, შესაბამისი კანონმდებლობასთან ერთად, საერთაშორისო დონორებისაგან დაფინანსების მოპოვებაა, რაც საკონკურსო საფუძველზე ხორციელდება. ეს კრიტიკული მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალებას აძლევდა ავტონომიური რეჟიმში განეხორცილებინათ საზოგადოებრივი კონტროლი მთავრობაზე. ალბათ სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ სწორედ სამოქალაქო საზოგადოებისა და კრიტიკულ მედიის დაფინანსების კონტროლზე მოპოვებით დაიწყო ჰეგემონისტური ელექტორალური ავტორიტარიზმის ფორმირების პროცესი საქართველოში. 2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან ზუსტად ერთი წლის თავზე 2023 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი უცხოური აგენტების შესახებ, რომელიც ყველა არაკომერციული იურიდიული პირის რეგისტრაციას ითვალისწინებდა, რომლებიც უცხოური წყაროებიდან იღებდნენ დაფინანსების 20%-ზე მეტს. ოპოზიციამ ეს დოკუმენტი „რუსულ კანონად“ მონათლა. მაგრამ მასობრივი საპროტესტო აქციების შედეგად მთავრობა იძულებული გახდა 9 მარტს უარი ეთქვა მის მიღებაზე, რის შედეგადაც ამ დოკუმენტის მიღება ჩავარდა 10 მარტს, ფორმალურად ჩატარებული მეორე მოსმენის შედეგად. საზოგადოების საპროტესტო აქციების ჩაცხრომის შემდეგ, მთავრობამ კვლავ დააინიცირა და, საზოგადოებრივი პროტესტის მიუხედავად,

მანც მიიღო იგივე კანონი მცირე ცვლილებით: „უცხოური ძალის აგენტი“ ჩაანაცვლა „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციით“ (ისპარიანი, 2014). „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებამ, რომელსაც ოპოზიცია უწოდებს „რუსულ კანონს“ ან „აგენტების კანონს“, ახალი საპროტესტო ტალღა წარმოშვა. არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების უმრავლესობამ ჯერ კიდევ კანონის მიღებამდე უარი განაცხადა, რომ დამორჩილებოდა მას და დარეგისტრირებულიყო, როგორც უცხო ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია. მათ მიაჩნდათ, რომ ემსახურებოდნენ არა უცხოელების, არამედ საქართველოს ინტერესებს და მათი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ მონათვლა არა მხოლოდ სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, არამედ მათ ღირსებასაც ბღალავდა („არავითარი ფორმით არ დავრეგისტრირდებით“, 2024). ამიტომ 122-მა არასამთავრობო და მედია ორგანიზაციამ სარჩელი შეიტანა საკონსტიტუციო სასამართლოში („ორგანიზაციათა დაახლოებით 1%-მა მიმართა,“ 2024) .

კანონი „უცხოური გამჭვირვალობის შესახებ“ არასამთავრობო ორგანიზაციებს და კრიტიკულ მედიას აიძულებს უარი თქვან უცხოეთიდან მიღებულ დაფინანსებაზე, რაც მათი საქმიანობის შეწყვეტას გამოიწვევს ან კიდევ მოძებნონ ქართველი დონორები, რაც საქართველოს კონტექსტში, მათ საქმიანობას ობიექტურობას დააკარგვინებს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ეს კანონი მიმართულია არა იმდენად არასამთავრობო სექტორისა და კრიტიკული მედიის განადგურებაზე, რამდენადაც მათ დამორჩილებასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკრეტიზაციაზე. ამ კანონის მიხედვით, ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს იცავენ სასამართლოში საკუთარი მთავრობის უკანონო ქმედებებისაგან, ავტომატურად ხდებიან უცხო ძალის ინტერესების გამტარებლებად, რაც ამუხრუჭებს სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარებას.

უცხოური გამჭვირვალობის შესახებ კანონის ცხოვრებაში გატარება იმდენად ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კრიტიკული მედიის მხრიდან, რომ მთავრობა იძულებული გახდა კიდევ უფრო მკაცრი კანონი მიეღო. 2025 წელს მიღებული იქნა „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი“. მის დასახელებაში კვლავ გაჩნდა სიტყვა „აგენტი“, როგორც ეს იყო გამჭვირვალობის შესახებ კანონის პირველ ვერსიაში - კანონპროექტი „უცხოური გავლენის აგენტებზე“, რომელიც უკან იქნა წადებული საზოგადოების ზეწოლის შედეგად (ქადაგიძე, 2025). ამ კანონშიც, ისევე როგორც გამჭვირვალობის შესახებ კანონში, უცხოური გავლენის აგენტად დარეგისტრირებისათვის საკმარისია მხოლოდ უცხოეთიდან

მიღებული დაფინანსება. მაგრამ თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით, ის უკვე ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. ამ კანონის ამოქმედების შედეგად, დაიწყო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კრიტიკული მედიის წარმომადგენლების დაბარება პროკურატურაში, რაც მანამდე უცნობი იყო თანამედროვე საქართველოს ისტორიაში. 2025 წლის 15 მაისს რამდენიმე ორგანიზაციამ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ გაუქმების მოთხოვნით (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2025). მთავრობამ კიდევ უფრო გაამკაცრა სამოქალაქო საზოგადოებასა და კრიტიკულ მედიაზე კონტროლი გრანტების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებით, რომლის თანახმადაც მთავრობის ნებართვის გარეშე ვერაზინ მიიღებს გრანტს (რადიო თავისუფლება, 2025). მთავრობამ შექმნა სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტო, რომელიც მაღალ ანაზღაურებადი მოხელეებით კომპლექტდება (ისპარიანი, 20 მაისი 2025).

საქართველოს კანონმდებლობაში მიმდინარე ცვლილებები ნათლად ამჟღავნებენ რუსული რეჟიმის ემულაციის პროცესის მიმდინარეობას საქართველოში. ისინი საზოგადოების აქტიურობას მთავრობის კონტროლს უმორჩილებენ და არსებული ხელისუფლება სრულად გამოჰყავს საზოგადოებრივი კონტროლის სფეროდან. ამიტომ თავისი მიმართულებით ეს კანონები რუსული კანონების მსგავსია, რომლებიც ასევე საზოგადოების აქტიურობის მთავრობის სრული კონტროლისადმი დამორჩილებაზეა ორიენტირებული. ამაზე მეტყველებს აგრეთვე რუსული კანონმდებლობის ტერმინოლოგიის დამკვიდრება ქართულ სამართალში. ასეთია მაგალითად „უცხოეთის აგენტი“. 2022 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის კანონი „უცხოეთის აგენტების შესახებ“ არღვევს ევროპული კონვენციის მე-11 მუხლს, რომელიც იცავს გაერთიანების თავისუფლების უფლებას (Human Right Watch, 2023).

რუსეთის რეჟიმის ემულაციის პროცესი საქართველოში დაიწყო უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან ერთი წლის შემდეგ, 2023 წლის მარტში, როცა პირველი მოსმენით მიღებული იქნა, ხოლო შემდეგ კი უკანვე წადებული აგენტების შესახებ კანონის პირველი ვარიანტი. სწორედ ამის შემდეგ იწყება მთელი რიგი ახალი ცვლილებების შეტანა საქართველოს კანონმდებლობაში, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საზოგადოების დამოუკიდებელი პოლიტიკური აქტიურობა. თუმცა ეს პროცესი ჯარ კიდევ არ არის დასრულებული, რადგანაც ჯერ კიდევ დარჩენილია ის სივრცეები, სადაც საზოგადოებას შეუძლია გამოხატოს საკუთარი აზრი: ინტერნეტი თავისუფალია, ჯერ კიდევ ფუნქციონირებს კრიტიკული მედია და

ჟურნალისტური გამოძიებები, საზოგადოება გამოხატავს პროტესტს ქუჩაში.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები

ჰეგემონისტური ელექტორალური ავტორიტარიზმის ფორმირების გზაზე, გარდამტეხ ეტაპს წარმოადგენს 2024 წლის ოქტომბრის არჩევნები, რომლის შედეგადაც მოხდა ხელისუფლების უზურპაცია მმართველი პარტია „ქართული ოცნების მიერ.“ ეს იყო პირველი საყოველთაო არჩევნები, რომელიც ჩატარდა ელექტრონული აპარატების გამოყენებით, რამაც წარმოშვა მოლოდინები არჩევნების სამართლიანად ჩატარების შესახებ, რაც მალევე შეიცვალა ფრუსტრაციით. აპარატების გამოყენების წესმა წარმოშვა საფუძვლიანი ეჭვები არჩევნების მასობრივი გაყალბების შესახებ: statmatik-ის ელექტრონული იდენტიფიკაციის აპარატზე არ დაუმონტაჟებიათ სახისა და თითის ამომცნობი ფუნქციები, ხოლო ბიულეტენის მიმღებ აპარატთან შესაძლებელი იყო ფლემ დრაივის მიერთება, რაც შესაძლებელია რომ გამოყენებულიყო აპარატის დასაჰაკად (კოალიცია ცვლილებებისათვის). ოპოზიციის მოთხოვნას, რომ გაეხსნათ ვერიფიკაციის აპარატები და ჩაეტარებინათ ამომრჩელთა სიებისა და იქ ჩატვირთული ქვითრების აუდიტი, მთავრობამ ამ აპარატების დალუქვით უპასუხა (ქველიაშვილი, 2024).

ემიგრანტების დიდ ნაწილს რომელიც გამოცხადდა საარჩევნო უბნებზე, არ მიეცა ხმის მიცემის შესაძლებლობა. ამის მიუხედავად, საზღვარგარეთ ოცნებამ ხმების მხოლოდ 13,5 მიიღო, ხოლო ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ კი 77%. გაჭვირვალე ბიულეტენები და ვიდეოკამერების მონტაჟის წესი საარჩევნო უბნებზე ძირს უთხრიდა ხმის ფარულობის პრინციპს, ხოლო არჩევნების შედეგები ეწინააღმდეგებოდა სტატისტიკურ კანონზომიერებებს (კოალიცია ცვლილებებისათვის; კახაბერიძე, 5 ნოემბერი, 2024; კახაბერიძე, 30 ოქტომბერი 2024; OSCE, 2024).

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) დამკვირვებლებმა დააფიქსირეს ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის შემთხვევების 24% (OSCE, 2024, p.4), ხოლო თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ ვლადიმერ ხუჭუამ არჩევნების შედეგები გააბათილა ორ ოლქში ფარულობის დარღვევის მიზეზით („ვინ არის მოსამართლე ხუჭუა“, 2024). დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა დამატებითი ვითარება არჩევნების დღეს, ამომრჩეველთა და სამოქალაქო დამკვირვებელთა დაშინების ფართოდ გავრცელების პრაქტიკა (OSCE, 2024 p.4). ოცნებამ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ისეთი ცვლილებები შეიტანა საარჩევნო კანონმდებლობაში, რომელიც უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა მას: გააუქმა ოპოზიციის მიერ დანიშნული ცესკოს თავჯდომარის მოადგილის თანამდებობა,

დაასუსტა ცესკოს საქმიანობაში კონსესუსის მნიშვნელობა, გააძლიერა სავარაუდო კავშირები მმართველ პარტიასა და ცესკოს უპარტიო წევრებს შორის (OSCE, 2014, p.2). ყოველივე ამის მიუხედავად, ოპოზიციამ შეძლო 150-დან 67 მანდატის მოპოვება, ხოლო მმართველმა პარტიამ ვერ შეძლო საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღება, რაც საქართველოს დემოკრატიული პოტენციალის სიძლიერეზე მეტყველებს.

ამ არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტის ფუნქციონირება თავიდანვე გასცდა კონსტიტუციის ფარგლებს, რადგანაც მისი პირველი სხდომა არ იქნა მოწვეული პრეზიდენტის მიერ, ხოლო პარლამენტის უფლებამოსილების ცნობა მოხდა მამინ, როცა პრეზიდენტსა და პარლამენტის 30 წევრს შეტანილი ჰქონდათ სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში, რითაც დაირღვა კონსტიტუციის 38-ე და პარლამენტის რეგლამენტის 86-ე მუხლები. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ამ აქტით განხორციელდა ხელისუფლების უზურპაცია (კახაბერიძე, 24 ნოემბერი 2024).

საზოგადოება და ჰეგემონიაზე აღებული კურსი

ოცნების ჰეგემონისტური პოლიტიკა საზოგადოების დემოკრატიული პოტენციალის სიძლიერეს შეეჯახა. მთავრობამ ვერ შეძლო ჩაეხშო სისტემატური საპროტესტო აქციები. არასამთავრობო ორგანიზაციები იბრძვიან საკუთარი უფლებებისათვის. ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა პარლამენტს და აქტიური მუშაობა დაიწყო ქვეყნის შიგნით და გარეთ ოცნების წინააღმდეგ. ხელისუფლებამ ვერ შეძლო საზოგადოების წინააღმდეგობის გატეხვა. საზოგადოებრივი პროტესტისა და საპარლამენტო ბოიკოტის შედეგად ოცნება მოექცა საერთაშორისო იზოლაციაში, მოხდა საერთაშორისო სანქციების დადება თანამდებობის პირებსა და მოსამართლეებზე, ოცნების საპატიო თავმჯდომარე ბ. ივანიშვილი აშშ ხაზინამ დაასანქცირა, შინაგან საქმეთა მინისტრი გომელაური კი მაგნიტსკის სიაში მოხვდა. საზოგადოების პროტესტმა გამოიწვია მწვავე დაპირისპირება თავად მმართველი ელიტის შიგნით, რაც გამოვლინდა სამთავრობო შემადგენლობის გამოცვლასა და თანამდებობის პირების დაჭერების მიმდინარე სერიაში.

დასკვნა

გუნდის თეორიიდან გამომდინარეობს მეთოდოლოგიური მოთხოვნა, რომ ჰეგემონისტური შოკების გავლენა საშინაო პოლიტიკაზე განხილული იქნას საშინაო ფაქტორებთან კავშირში. ამიტომ ის მკვლევარის ორიენტირებას ახდენს იმ საშინაო ფაქტორების გამოვლენაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ შოკების გავლენას რეჟიმის ცვლილებაზე. ასეთად საქართველოს შემთხვევაში გვევლინება პოლიტიკური ელიტა, რომელმაც ერთპოლუსიანი

მსოფლიოს დაშლა და რუსეთის აგრესია უკრაინაში აღიქვა დემოკრატიული ჰეგემონის აშშ-ს დასუსტებისა და რუსეთის გაძლიერების ნიშნად და დაიწყო რუსული პოლიტიკური რეჟიმის ემულაცია. ერთპოლუსიან მსოფლიოში, ქართული პოლიტიკური ელიტა, როგორც არ უნდა ყოფილიყო მისი შემადგენლობა, ვერ შეცვლიდა საქართველოს დემოკრატიული განვითარების ვექტორს, რადგანაც იძულებული იქნებოდა ანგარიში გაეწია დემოკრატიული ჰეგემონის (აშშ) მოსალოდნელი რეაქციისათვის. რუსული ძალის დემონსტრაციამ კი ის დაარწმუნა მის სისუსტეში, რამაც გამოიწვია საქართველოს გადასვლა ჰეგემონისტური ელექტორალური ავტორიტარიზმის განვითარების ტრაექტორიაზე. ამაში შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული პოლიტიკური ელიტის წევრების რუსულმა კავშირებმა. პროდასავლური ელიტის არსებობის შემთხვევაში, უკრაინაში რუსული აგრესიის გავლენა სავარაუდოდ იქნებოდა მინიმალური და საქართველოს ჩამოშორება არ მოხდებოდა დემოკრატიული განვითარების ვექტორისაგან. კაუზალური ჯაჭვი, რომელმაც გამოიწვია საქართველოს დემოკრატიული განვითარების გაჩერება, შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ: უკრაინაში რუსეთის აგრესიამ ქართული პოლიტიკური ელიტის ქცევების შეცვლის საშუალებით, გამოიწვია საქართველოს დემოკრატიული უკუსვლა. ერთპოლუსიან მსოფლიოში შეუძლებელი იქნებოდა რუსეთის არმიის შეჭრა უკრაინაში. ამიტომ, საბოლოო ჯამში, საქართველოს დემოკრატიული უკუსვლა შეიძლება აიხსნას, როგორც ერთპოლუსიანი მსოფლიოს დაშლით გამოწვეული ჰეგემონისტური შოკის შედეგი. მაგრამ რუსული პოლიტიკური რეჟიმის ემულაცია აწყდება დაგროვებული დემოკრატიული პოტენცილის წინააღმდეგობას, რომელიც საშუალებას არ აძლევს ელიტას, რომ საზოგადოება სრულად დაუმორჩილოს საკუთარ კონტროლს.

Valerian Dolidze

Associate Professor

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The article, based on Gunitsky's theory of hegemonic shocks, answers the question: why did Georgia take a course towards the formation of hegemonic authoritarianism? Russia's invasion of Ukraine has created a perception among the Georgian political elite of the weakening of the democratic hegemony of the United States and the strengthening of an autocratic Russia, which has led to the emulation of the Russian regime in Georgia. The transition to authoritarianism is not a new phenomenon for Georgia, which periodically transitioned from democratization to an authoritarian cycle of development and then returned back to democratization. But authoritarianism in Georgia was represented by a competing electoral authoritarianism. Therefore, democratic evolution did not cease even during the authoritarian cycle, during which democratic potential grew. The hegemonic course halted Georgia's democratic evolution, but the elite's desire to completely subordinate society to its control is encountering resistance from the increased democratic potential. This is a result of the peculiarity of the political system, which is characterized by the uneven development of state and public components. This is because emulating a democratic system is more difficult than emulating autocratic and totalitarian ones. Democratic emulation requires not only state but also public resources, based on voluntary participation. The lag in the development of the public component reinforced the tendency for society to be subordinated to state control. But in the context of a unipolar world, the democratic hegemon the United States and the European Union, blocked the authoritarian aspirations of pro-Western elites. The transition to a multipolar world has triggered changes in the Georgian elite's foreign and domestic policies. They took an anti-Western course in foreign policy, which weakened the protective function of the United States and the European Union in the democratic evolution of Georgia and determined Georgia's transition to a phase of hegemonic electoral authoritarianism, which cannot be considered complete.

keywords: democracy, democratization, autocracy, regime, system

ბიბლიოგრაფია

Bornschier, S., Haffert, L., Häusermann, S., Steenbergen, M., & Zollinger, D. (2024). *Cleavage formation in the twenty-first century: How social identities shape voting behavior in contexts of electoral realignment.* Cambridge University Press.

Cianetti, L., Del Panta, G., & Owen, G. (2025). “What is a regime”? Three definitions and their implications for the future of regime studies. *Democratization*, 25, 2–23.

Dolidze, V., & Tukvadze, A. (2024). Authoritarianization and resilience of democratic evolution of Georgia. *International Journal of Social Science and Human Research*, 7, 5279–5193.

Freedom House. (2025, September 9). Georgia on its way to becoming semi-consolidated authoritarian regime. *Civil Georgia*. <https://civil.ge/archives/591515>

Freedom House. (2025). *Freedom in the world: Georgia*. <https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2025>

Gunitsky, S. (2014). From shocks to waves: Hegemonic transitions and democratization in the twentieth century. *International Organization*, 68, 561–597.

Hooghe, L., & Gary, M. (2018). Cleavage theory meets Europe’s crises: Lipset, Rokkan and the transnational cleavage. *Journal of European Public Policy*, 25, 109–135.

Human Rights Watch. (2023, March 8). საქართველო: „უცხოეთის აგენტების“ კანონპროექტი ფეხქვეშ თელავს ადამიანის უფლებებს. <https://www.hrw.org/ka/news/2023/03/08/georgia-foreign-agents-bill-tramples-rights>

Marks, G., Attewell, D., Rovny, J., & Hooghe, L. (2021). Cleavage theory. In M. Riddervold et al. (Eds.), *The Palgrave Handbook of EU Crises* (Chapter 9). Palgrave Macmillan.

Nord, M., Altman, D., Angoiolilo, F., Fernandes, T., God, G. G., & Lindberg, S. L. (2025). *Democracy report 2025: 25 years of autocratization – Democracy trumped?* V-Dem Institute, University of Gothenburg. https://www.v-dem.net/documents/61/v-dem-dr_2025_lowres_v2.pdf

O’Donnell, G. A. (2001). Democracy, law, and comparative politics. *Studies in Comparative International Development*, 36(7), 7–36.

OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights. (2024, December). *Georgia: Parliamentary elections 26 October 2024. ODIHR election observation mission final report.* Warsaw.

Regime. (2009). In J. McLean & A. McMillan (Eds.), *Oxford Concise Dictionary of Politics* (3rd ed.). Oxford University Press.

Scoop: Georgia „strongest” on technical alignment in upcoming EC Association Trio report. (2023, January 9). *Civil Georgia*. <https://civil.ge/archives/520982>

V-Dem's 2025 report: Georgia marked largest one-year democratic decline since independence. (2025, March 3). *Civil Georgia*. <https://civil.ge/archives/669098>

„არავითარი ფორმით არ დავრეგისტრირდებით ღირსების შემლახვ რეესტრში“ — NGO-ბის და მედია ორგანიზაციების განცხადება. (2024, 25 აპრილი). რადიო თავისუფლება. <https://www.radiotavisupleba.ge/a/32920559.html>

ბიძინა ივანიშვილის რუსული კავშირები და კორუფციული სკანდალი — **Byline Times**-ის გამოძიება. (2025, 1 აპრილი). *JAM News*. <https://jam-news.net/ge/bidzina-ivanishvilis-rusuli-kavshirebi/>

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. (2022, 27 აპრილი). *ბიძინა ივანიშვილისა და მისი ნათესავების რუსული ბიზნესი*. <https://transparency.ge/ge/post/bizina-ivanishvilis-da-misi-natesavebis-rusuli-biznesi>

ბოჩიკაშვილი, გ. (2024, 24 ნოემბერი). *ერთი მილიარდერი, 16 მილიონერი — ვინ ხდება დეპუტატი „ქართული ოცნების“ სიიდან?* რადიო თავისუფლება. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33183524.html>

დოლიძე, ვ., & ტუკვაძე, ა. (2024). პოლიტიკის ფორმირება სამშენებლო სექტორში: საქართველოს შემთხვევა. *ხელისუფლება და საზოგადოება*, 3(71), 49–81.

ვინ არის მოსამართლე ხუჭუა, რომელმაც არჩევნებზე ხმის ფარულობის დარღვევა დაადგინა. (2024, 5 ნოემბერი). რადიო თავისუფლება. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33187694.html>

ისპარიანი, ა. (2024, 3 აპრილი). „ქართულმა ოცნებამ“ რუსული კანონი პარლამენტში დააინიცირა — კანონპროექტის დეტალები. *Business Media*. <https://bm.ge/news/qartulma-otsnebam-rusuli-kanoni-parlamentshi-daainitsira-kanonproeqtis-detalebi>

ისპარიანი, ა. (2025, 20 მაისი). *სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს უფროსის ხელფასი 10585 ლარი იქნება*. *Business Media*. <https://bm.ge/news/sakhelmtsifo-grantis-martvis-saagentos-ufrosis-khelfasi-10-585-lari-iqneba-moadgilis-8-760-gankarguleba>

კახაბერიძე, თ. (2024, 5 ნოემბერი). რატომ არ გამოდგება ხმის ფარულობაზე პაპუაშვილის მაგალითები უცხოეთიდან. *ნეტგაზეთი*. <https://netgazeti.ge/life/749878/>

კახაბერიძე, თ. (2024, 30 ოქტომბერი). *ქალაქი, რომელზეც მარკერის კვალი ჟონავდა სტამბებს ცესკომ თვითონ მიაწოდა*. *ნეტგაზეთი*. <https://netgazeti.ge/life/749137/>

კახაბერიძე, თ. (2024, 25 ნოემბერი). *TI: პარლამენტის სხდომის ჩატარება და დეპუტატების უფლებამოსილების ცნობა*

კონსტიტუციის უბეში დარღვევაა. ნეტგაზეთი.
<https://netgazeti.ge/news/753018/>

ორგანიზაციათა დაახლოებით 1%-მა მიმართა „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებლად“ დასარეგისტრირებლად. (2024, 30 აგვისტო). რადიო თავისუფლება.
<https://www.radiotavisupleba.ge/a/33099423.html>

„ოცნებამ“ დიდი ბრიტანეთის გრანტები დაბლოკა. (2025, 11 ივნისი). TV პირველი. <https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/kultura/103141-otsnebam-didi-britanetis-grantebi-dabloka>

პაატა კვიციანიძე — ამერიკისთვის ლიდერობის შენარჩუნება უპირველესია. (2024, 4 მაისი). პირველი არხი. <https://1tv.ge/news/paata-kvidjinadze-amerikistvis-liderobis-shenarchuneba-upirvelesia>

რადიო თავისუფლება. (2025, 16 აპრილი). „ქართულმა ოცნებამ“ აკრძალა გრანტების გაცემა/მიღება მთავრობის ნებართვის გარეშე. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33387188.html>

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. (2025, 22 მაისი). „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდა. <https://gyla.ge/post/FARA-sakonstitucio-sasamartloshi-gasachivrda>

ქადაგიძე, თ. (2025, 6 მარტი). ქართული ფარა vs ამერიკული FARA. რა განსხვავებაა ამ ორ დოკუმენტს შორის. JAM News. <https://jam-news.net/ge/qartuli-fara-vs-amerikuli-fara/>

ქველიაშვილი, მ. (2024, 28 ოქტომბერი). ვითხოვთ ვერიფიკაციის აპარატების და ამომრჩეველთა ერთიანი სიის აუდიტს — ენმ. ბათუმელები. <https://batumelebi.netgazeti.ge/news/549994/>

ჯორბენაძე, თ. (2025, 26 მაისი). სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს უფროსის ხელფასი 10585 ლარი იქნება. ბათუმელები. <https://batumelebi.netgazeti.ge/slideshow/573532>

ჰეივუდი, ე. (2008). პოლიტიკა (მე-3 გამოც.). საქართველოს უნივერსიტეტი.

Долідзе, В. (2020). Эволюционные циклы политического развития Грузии. В V. Zadunaiski & D. Popek (ред.), *Kavkaz – Przeszłość – Teraźniejszość – Przyszłość* (Т. 6, стр. 31–41).

Шкель, С. Б. (2014). Современные классификации авторитарных режимов. *Политика и общество*, 12, 1562–1570.